აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო კვირიკაძე

დეტალი და ლაიტმოტივი თომას მანის „ბუდენბროკებში“

10.01.۸۹ – ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ქუთაისი
2010

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო კვირიკაძე

დეტალი და ლაიტმოტივი თომას მანის „ბუდენბროკებში“

10.01.05 – ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ქუთაისი
2010

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული და ამერიკული
ლიტერატურის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნანული კაკაურიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **მანანა პაიჭაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ანზორ აბუსერიძე
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე 2010 წლის ~~25 ივნისს~~ 3 h t — საათზე.
მისამართი: 4600 ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59, კორპ. 1, აუდ. № ~~1114~~ .

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (4600 ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59).

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი: ირმა ყიფიანი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

1901 წელს გამოქვეყნებულმა „ბუდენბროკებმა“ ახალგაზრდა თომას მანს საყოველთაო აღიარება მოუტანა და მეოცე საუკუნის უდიდეს პროზაიკოსთა რიგებში კუთვნილი ადგილი მიუჩინა. „ბუდენბროკების“ წარმატება განპირობებული იყო იმით, რომ ნაწარმოები, რომელშიც ავტორს „ნატურალისტური რომანის ხერხებით“ სურდა დაეხატა მე-19 საუკუნის ერთი პატრიციული გერმანული ბიურგერული ოჯახის დაქვეითებისა და დაცემის სურათი, სინამდვილეში გერმანული ბიურგერული კულტურის ბედ-იღბლის განზოგადებულ სურათად იქცა.

XIX საუკუნის დასასრული – დრო, როდესაც იქმნება „ბუდენბროკები“ – ურთულესი ეპოქაა ევროპის ისტორიაში. საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა უკიდურესმა გამწვავებამ და დასავლეთის კულტურის ღრმა კრიზისმა არსებითი ძვრები გამოიწვია ესთეტიკის სფეროში. ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ნეორომანტიზმი – მნიშვნელოვანი მოვლენებია XIX-XX საუკუნეთა მიჯნის მხატვრულ აზროვნებაში, რომლებიც განაპირობებენ მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების მთელი სისტემის განახლებას. გერმანული „თანმიმდევრული ნატურალიზმის“ ესთეტიკაში იკვეთება მხატვრულ ნაწარმოებში საგანთა და მოვლენათა უზუსტესი ფიქსაციის მოთხოვნა. აქედან ჩნდება მძაფრი ინტერესი უმცირესი დეტალებისადმი, მეტყველების ინდივიდუალური თავისებურებებისადმი. „ცალკეული“ იძენს ინდივიდუალურ მნიშვნელობას როგორც დამახასიათებელი დეტალი, რომელიც ნივთის (ან ადამიანის) თავისებურებას თვალნათლივ წარმოაჩენს. ეს არის „Fin de siècle“-ის ლიტერატურის ძირითადი ნიშანი: საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვების დისტანციური პერსპექტივა ამავე დროს შესაძლებელს ხდის მათ მიკროსკოპიულ ხედვას, „თანმიმდევრული ნატურალიზმის“ ესთეტიკაში საგანთა და მოვლენათა უმცირესი ცვლილების უკიდურესად ზუსტი ასახვისაკენ სწრაფვას. „წამის ფიქსაციის სტილს“ მივყავართ იმპრესიონიზმის ელემენტებთან, როდესაც აისახება არა მარტო ობიექტი, არამედ თვით ხელოვანის წამიერი შეგრძნებები.